



საქართველო ვანის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ვანი, თავისუფლების №65, ინდექსი 1900, E-mail: vanis.gamgeoba@yahoo.com ტელ. 22-25-25

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 20 14

08/01/2019

**ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის
პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N20 10
ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის
დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების და „ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N20 10 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 04 იანვრის N20 10 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკი წარმოდგენილი დანართის N1 შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია მძებნილების ქ. N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი



მუნიციპალიტეტის მერი